

1.159.9

## სოციალური მიზნების საკვლევო ინსტრუმენტის ადაპტაცია

ლაჭავა თამარი<sup>1</sup>, წერეთელი მზია<sup>2</sup>, აფთარაშვილი ია<sup>3</sup>

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. #1

### ანოტაცია

მოცემული კვლევის მიზანია სოციალური მიზნების საკვლევო ინსტრუმენტის ადაპტაცია. ნაშრომში განხილულია ინსტრუმენტის (SGQ-Geo) ქართული ვერსიის ფსიქომეტრული მახასიათებლები, კონკრეტულად, ფაქტორული სტრუქტურა, ქვესკალებს შორის შინაგანი შეთანხმებულობა, სქესთაშორის განსხვავებები სოციალურ მიზნებს შორის. აგრეთვე, შეფასებულია სოციალური მიზნების მნიშვნელოვნება.

კვლევაში მონაწილეობდა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პირველი საფეხურის 250 სტუდენტი (111 - მამრობითი, 139 - მდედრობითი;  $M_{სკკი}=20.58$ ;  $SD=1.73$ ). ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ინსტრუმენტის ქართული ვერსია სრულად შეესაბამება მის ორიგინალ შვიდფაქტორიან ინსტრუმენტს და შენარჩუნებულია შვიდივე ფაქტორი. შინაგანი შეთანხმებულობის მიხედვით, კითხვარის 66 დებულების ჯამური მაჩვენებელი 0.93-ია, ხოლო თითოეული ფაქტორის კრონბახის ალფას მაჩვენებელი 0,77-სა და 0,91-ს შორის მერყეობს. რაც შეეხება სკალებს შორის კორელაციას, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა სოციალური მიმზიდველობისა და მიკუთვნებულობის ფაქტორებს შორის. ხოლო ძალაუფლებისა და სოციალური პასუხისმგებლობის და ზრუნვის ფაქტორები ერთმანეთთან უარყოფით კორელაციაში იყო. კვლევის მონაწილეებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სოციალური პასუხისმგებლობისა და ზრუნვის ფაქტორი. სქესის გათვალისწინებით, ქალებს, მამაკაცებთან შედარებით, უფრო მაღალი მაჩვენებლები აქვთ სოციალური პასუხისმგებლობისა და ზრუნვის სკალაზე, აგრეთვე, მიკუთვნებულობის სკალაზე. კვლევის მონაწილეებისთვის ყველაზე ნაკლებად ღირებული ძალაუფლების ფაქტორი აღმოჩნდა.

**საკვანძო სიტყვები:** სოციალური მიზნები, ინსტრუმენტის ადაპტაცია, სქესთაშორის განსხვავება, სოციალური მიზნების მნიშვნელოვნება.

### შესავალი

ყველა ინდივიდს ყოველდღიურად უწევს მრავალი გადაწყვეტილების მიღება. გადაწყვეტილებები, რომლებსაც ჩვენ ვიღებთ, ჩვენი მიზნებისა და რწმენების ასახვა და ისინი ყოველთვის მიემართებიან გარკვეული მიზნებისკენ. ეს შეიძლება იყოს ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილება. როდესაც გადაწყვეტილების მიღებაში ჩართულია ჩვენი მიზნები, ჩვენ ვაკეთებთ ფრთხილ არჩევანს იმისათვის, რომ ვიყოთ კონცენტრირებული იმაზე, რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. (valuescentre.com, n.d.)

როგორც ვიცით, ადამიანის განვითარებისა და წინსვლისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დასახული ჰქონდეს სოციალური მიზნები. სოციალური მიზნების ერთი, ზოგადი განმარტება არ არსებობს და მას სხვადასხვა ავტორი სხვადასხვანაირად განმარტავს. სოციალური მიზნები არის სოციალური შედეგების წინასწარ განსაზღვრა, მათი ცოდნა, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ცხოვრების ნებისმიერ ასპექტზე (Urdan & Maehr, 1995). კინგი და მაკლნერნი (King & McInerney, 2012) ფიქრობდნენ, რომ სოციალური მიზნები ეხმარება სწავლის სოციალურ მიზეზებს. უენტზელის (Wentzel, 2000) სოციალური მიზნების განმარტება ფოკუსირებულია სტუდენტების სოციალურ შედეგებზე, რომლებიც ცდილობენ აკადემიური წარმატების მიღწევას. ფორდს (Ford M., 1992) ესმოდა სოციალური მიზნები, როგორც ის მთავარი სფერო, რომელიც ეხმარება პიროვნების ცხოვრების იმ მიზნებს, რომელსაც მისდევს თავისი ცხოვრების განმავლობაში.

ღირებულებები არის ადამიანის არჩევანის და მიდრეკილებების წამყვანი კრიტერიუმი და საბოლოოდ შეუძლია განახორციელოს პიროვნების ფორმირება ან იმოქმედოს გადაწყვეტილების მიღებაზე. შესაბამისად, მიზნების დასახვისას ადამიანები ხელმძღვანელობენ თავიანთი ღირებულებების გათვალისწინებით. მაშასადამე, ღირებულებებს, როგორც სიმართლის დამდგენელს, აქვს უნივერსალური ხასიათი. ადამიანები იღებენ ღირებულებების ცნებას, როგორც ყველაფერს, რაც არის შეფასების ობიექტი და არის ვინმესთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი (Jardim, Da Silva Junior, & Alves, 2017).

### სოციალური მიზნების განსაზღვრება

ჩვეულებრივ, ადამიანები გარკვეულ აქტივობას ასრულებენ, რათა მიაღწიონ გარკვეულ მიზნებს. სტუდენტების ქცევის მრავალი მიზეზი არსებობს და ზოგიერთი მათგანი სოციალურ ასპექტებზეა ორიენტირებული. როგორც ზემოთ აღინიშნა, სოციალურ მიზნებს სხვადასხვა ავტორი სხვადასხვაგვარად განმარტავს, ამიტომ არ არსებობს მისი მკაფიოდ განსაზღვრული განმარტება. 1990-იანი წლებიდან დაწყებული დღემდე, თეორეტიკოსები და მკვლევრები განიხილავენ სოციალური მოტივაციის კვლევას იმგვარად, რომ ადრეული თეორიები განავითარონ და გააფართოონ სოციალური მიზნების ჭრილში. ფორდმა და ნიკოლსმა (Ford & Nichols, 1992) შემოგვთავაზეს მიზნების იერარქიული ტაქსონომია. ამ მკვლევრებმა წარმოადგინეს მტკიცე სოციალური ურთიერთობების მიზნები და ინტეგრაციული სოციალური ურთიერთობის მიზნები. კატეგორიები მოიცავდა ინდივიდუალურ, თვით-გამორკვევის, უპირატესობის დამტკიცების, რესურსის აღქმა, მიკუთვნებულობა, სოციალური პასუხისმგებლობა, სამართლიანობა და რესურსის მომარაგება. ფორდისა და ნიკოლსის (1992) აზრით, ეს მიზნები იყო საბოლოო შედეგის მენტალური ხატები და მიზნები მიემართებოდა სხვა ინდივიდუალურ მახასიათებლებზე (მაგ: გავლენა და ქცევა). აქ იგულისხმება ის, რომ საბოლოო მიზნის მისაღწევად მრავალი ქცევა შეიძლება იყოს ჩართული (მაგ: რომ მიიღო შექება) და მიემართება გავლენა და ქცევა შედეგებისკენ (მაგ: მოუსმინო ინსტრუქციებს). გარდა ამისა, იმისათვის, რომ აეხსნათ ქცევები სხვადასხვა ეპიზოდებში, ფორდმა და ნიკოლსმა (Ford & Nichols, 1992) შემოგვთავაზეს, რომ მიზნები იყო ადამიანის ქცევის ინდიკატორები. ფორდს (1992) ესმოდა სოციალური მიზნები, როგორც ის მთავარი სფერო, რომელიც ეხმარება

პიროვნების ცხოვრების იმ მიზნებს, რომელსაც ის მისდევს თავისი ცხოვრების განმავლობაში (Ford & Nichols, 1992).

რაიანი (Ryan, et al., 1997) ფიქრობდა, რომ სოციალური მიზნები ზემოქმედებს სწავლაზე, როდესაც სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ თანამშრომლობითი ურთიერთობები. უენტზელი და უოტკინსი (Wentzel & Watkins, 2002), აგრეთვე, ფიქრობდნენ, რომ სოციალური მხარდაჭერა და მიკუთვნებულობა ზრდის სტუდენტების ჩართულობას სასწავლო აქტივობებში. სოციალურ მიზნებზე მიყოლამ შესაძლოა იმოქმედოს თანატოლებთან ერთად სწავლაზე, აკადემიური ჩართულობის ელემენტზე.

სოციალური მიზნები არის სოციალურად ნაკარნახევი. მოტივაცია, რომ რამეს მიაღწიო, მოდის სხვადასხვა სოციალური ძალისხმევით. სოციალური მიზნების განმარტება ნათელს ხდის სხვა კონცეფციებს სოციალური მიზნებისა, როგორც შემოგვთავაზა უენტზელმა, ფორდმა (1992) და რაიანმა და შიმმა (2006). უენტზელის (2000) სოციალური მიზნების განმარტება ფოკუსირებულია სტუდენტების სოციალურ შედეგებზე, რომლებიც ცდილობენ აკადემიური წარმატების მიღწევას. მეორე მხრივ, რაიანის და შიმის (Ryan & Shim, 2008) განმარტება ხაზს უსვამს სოციალური მიზნების მიმართებას სოციალურ კომპეტენციასთან და არა იმასთან, რასაც სტუდენტები სწავლობენ.

კინგისა და მაკლნერნის (King & McInerney, 2012) განმარტება განსხვავებულია. სოციალური მიზნები, ისევე, როგორც დახელოვნებისა და მიღწევის მიზნები, ეხება იმას, თუ რატომ სურთ სტუდენტებს წარმატებას მიაღწიონ (მაგალითად: ისწავლონ იმისათვის, რომ იმეგობრონ, ან ისწავლონ იმისათვის, რომ დაეხმარონ სხვებს). ეს განმარტება საშუალებას გვაძლევს, რომ შევისწავლოთ ისეთი საკითხი, როგორცაა სოციალური მიზნების სხვადასხვა ტიპის კავშირი დახელოვნებისა და მიღწევის მიზნებთან. ისინი ირწმუნებოდნენ, რომ სოციალური მიზნების ძალა, სტუდენტის მოტივირებაში, შესაძლოა იყოს უფრო დიდი, ვიდრე ტრადიციული დახელოვნებისა და შესრულების მიზნები.

### *სოციალური მიზნების ხუთფაქტორიანი თეორია*

სოციალური მიზნების სხვა კონცეპტუალიზაცია არის სოციალური მიზნების ხუთფაქტორიანი თეორია, რომელიც შემოგვთავაზეს დაუსონმა და მაკლნერნიმ (Dowson & McInerney, 2003). მათ აღმოაჩინეს, რომ სტუდენტების სოციალური მიზნები შეიძლება დაჯგუფდეს ხუთ კატეგორიაში:

- 1) სოციალური აფილაციის მიზანი: იმის სურვილი, რომ მიაღწიო ან გაზარდო ჯგუფისადმი მიკუთვნებულობა და შეინარჩუნო სოციალური ურთიერთობები (მაგალითად: „მინდა სკოლაში კარგად შევასრულო დავალებები, რადგან ასე შევძლებ ახლოს ვიგრძნო თავი მეგობრებთან“).
- 2) სოციალური აღიარების მიზნები: იმის სურვილი, რომ მიაღწიო თანატოლების, მასწავლებლების და მშობლების აღიარებას (მაგალითად: „მინდა სკოლაში კარგად შევასრულო დავალებები, რათა დავიმსახურო მასწავლებლების ქება“).
- 3) სოციალური ზრუნვის მიზანი: იმის, სურვილი, რომ შეგეძლოს სხვების დახმარება, მათი აკადემიური ან პიროვნული განვითარებისთვის (მაგალითად:

- „მსურს, სკოლაში კარგად შევასრულო დავალებები, რადგან ასე შევძლებ დავებმარო სხვა მოსწავლეებს, თავიანთი დავალებების შესრულებისას“).
- 4) სოციალური პასუხისმგებლობის მიზანი: სურვილი, რომ შეასრულო სოციალური როლის ვალდებულებები (მაგალითად: „მსურს, რომ სკოლაში კარგად შევასრულო დავალებები, რათა სხვებს ვაჩვენო, რომ პასუხისმგებლიანი მოსწავლე ვარ“).
- 5) სოციალური სტატუსის მიზანი: სურვილი, რომ მიაღწიო გარკვეულ პოზიციას სკოლაში ან მოგვიანებით, ცხოვრებაში (მაგალითად: „მსურს, რომ კარგად შევასრულო სკოლაში დავალებები, რომ მომავალში ბევრი ფული მქონდეს“). (Dowson & McLnerney, 2003)

სტუდენტების ღირებულებები წარმოადგენს სტუდენტის კოგნიტური სისტემისა და მისი პიროვნების ცენტრალურ პოზიციას, რადგან ის მოიცავს ცოდნის, აფექტურ და ქცევით კომპონენტებს, განსაზღვრავს მათ დამოკიდებულებებსა და მოტივაციას.

როდესაც ჩვენ ვიღებთ გადაწყვეტილებას რაიმეს გაკეთების შესახებ და ვაკეთებთ არჩევანს, ჩვენ ვეძებთ ძირითად მიზეზებს, რომ გავამართლოთ ჩვენი გადაწყვეტილება. ყველა ამ მიზეზს შესაძლოა ფაქტები ამყარებდეს, მაგრამ ყოველთვის იგულისხმება ძირითადი ღირებულებები, რომლებიც ამართლებენ ჩვენს არჩევანს. ღირებულებები არის იმის კრიტერიუმი, თუ რას ვანიჭებთ უპირატესობას და არის მიზეზი, რომ გავამართლოთ ჩვენი მოტივაცია და ქცევა. ღირებულებები ადამიანებში და მათ მოქმედებებში წარმოადგენილია ყოფიერების ვალდებულების ფორმაში და ის განსხვავებული და დამოუკიდებელია ადამიანთა სამყაროში. მაშასადამე, ღირებულება არის ერთი, უნიკალური და მარადიული, რომელმაც შესაძლოა შეცვალოს ხელშესახები შედეგები (Goergen, 2005).

დანიელ მაკოლუმის (McCollum L. D., 2005) მიერ ჩატარებული კვლევა შეისწავლის სოციალური მოტივაციისა და სოციალური მიზნების კონცეფციებს. ეს ორი კონცეფცია გაერთიანებულია სოციალური მიზნების ტაქსონომიაში. მაკოლუმის მიერ ჩატარებული კვლევა (McCollum L. D., 2005) რთავს სოციალურ მიზნებს ერთ საერთო ინსტრუმენტში. განისაზღვრა სოციალური მიზნების შვიდი მიმართულება: **სოციალური პასუხისმგებლობა და ზრუნვის** ფაქტორი შეიცავდა შეიცავდა პასუხისმგებლობის გამოვლენას სხვების მიმართ, სხვებზე ზრუნვასა და საზოგადოებაზე ზრუნვას; **სოციალური მიმზიდველობა** მოიცავდა სოციალური, სექსუალური და ფიზიკური მიმზიდველობის მიზნებს; **ძალაუფლების** ფაქტორში გამოხატული იყო სურვილი, რომ გქონდეს უფრო მაღალი პოზიცია სხვებთან შედარებით, სადაც ზეგავლენა და კონტროლია ჩართული; **დაახლოებისა და ინტერპერსონალური ურთიერთობების** მიზნები ასახავდა სექსუალური ურთიერთობების, სექსისა და რომანის, აგრეთვე, მეგობრობის, მიკუთვნებულობის, სოციალური აღიარებისა და მოწონების მიზნებს; **დახმარების მიღება** შეიცავდა კონცეპტებს - სხვებისგან მიღებულ დახმარებას, რჩევას და შეფასებას, მასში მოაზრებულ კონსტრუქტის ტიპს აქვს კავშირი რესურსების აღქმადობასა და მიღებასთან; **მიკუთვნებულობა** ასახავს აფილაციის ელემენტებს, მიკუთვნებულობას, სოციალურ ურთიერთობებს, სოციალურ პასუხისმგებლობას, პროსოციალურ-აკადემიურ და სოციალური პასუხისმგებლობის-აკადემიურ მიზნებს; **დახმარების გაცემა** მოიცავს ისეთ მახასიათებლებს, როგორცაა სხვებისთვის რჩევის მიცემა.

სკალების შინაგანი კონსისტენტურობა შემოწმდა კრონბახის ალფას საშუალებით. ფაქტორი 1-ის შემთხვევაში კოეფიციენტი იყო 0.88. მე-2 ფაქტორის სანდობა იყო 0.87, მე-3 ფაქტორის - 0.82, მე-4 ფაქტორის - 0.84, მე-5 ფაქტორის - 0,82, მე-6 ფაქტორის - 0.85, ხოლო მე-7 ფაქტორის სანდობა იყო 0.76. ეს მაჩვენებლები საკმაოდ კარგია და ამგვარად კონსტრუქტის ტიპი დადებითად შეფასდა. რაც შეეხება სკალებს შორის კორელაციას, სოციალურ პასუხისმგებლობასა და ზრუნვას (ფაქტორი 1) და მიკუთვნებულობას (ფაქტორი 6) შორის აღმოჩნდა ყველაზე მაღალი კორელაცია (0.64), რომელსაც მოსდევდა პირველი და მეშვიდე ფაქტორების კორელაცია (0.62). აღსანიშნავია, რომ ძალაუფლება არ იყო კორელაციაში დახმარების მიღებასთან, მიკუთვნებულობასთან და გაცემასთან.

2006 წელს ჩატარებულ კვლევაში (McCollum D. L., 2006), თითოეული ეს სოციალური მიზანი კორელაციაში იყო აკადემიურ ჩართულობასთან, ძალაუფლების მიზნების გარდა. სხვა სოციალური მიზნების ტიპებისა და სწავლაში ჩართულობის კონსტრუქტებს (მცდელობის რეგულაცია, დახმარების ძიება და თანატოლების სწავლება) შორის სუსტი კავშირი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ეს კორელაციები სუსტია, არსებობს ნათელი კავშირები სოციალური მიზნების მიდევნებასა და აკადემიურ ჩართულობას შორის სტუდენტებში. კერძოდ, რჩევის გაცემის, დახმარების მიღებისა და მიკუთვნებულობის კატეგორიები არის დახმარების ძიების, თანატოლების სწავლებისა და მცდელობის ძალისხმევის კარგი ინდიკატორი. ძალაუფლების მიზნები არ იყო კავშირში აკადემიურ ჩართულობასთან, მაშასადამე ძალაუფლების მაძიებლებს შესაძლოა არ ჰქონდეთ მაღალი მიღწევები აკადემიურ სფეროში.

ტესტის ადაპტაცია გულისხმობს გარკვეული ემპირიული სამუშაოების ჩატარებას ახალ კულტურულ პირობებში. ტესტის სანდობისა და ვალიდობის, აგრეთვე ფსიქომეტრული მახასიათებლების დასადგენად, საჭიროა კითხვარმა გაიაროს სამი საფეხური: „1) თარგმანი და ლინგვისტური ვალიდაცია; 2) სკალის ფაქტორული სტრუქტურის შემოწმება; 3) ნორმატიული მაჩვენებლების დადგენა“ (ჯავახიშვილი, სხვ., 2016).

### მიმდინარე კვლევა

მიმდინარე კვლევის მიზანია სოციალური მიზნების შესაფასებელი ინსტრუმენტის ქართული ვარიანტის ადაპტაცია, რომლის ორიგინალი ვერსია შექმნა დანიელ მაკოლუმმა (McCollum L. D., 2005).

### კვლევის მეთოდი

#### კვლევის მონაწილეები

სოციალური მიზნების კითხვარის ადაპტაციისთვის კვლევაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლო დაწესებულების პირველი საფეხურის 250-მა სტუდენტმა ( $M_{სსსკი}=20.58$ ;  $SD=1.73$ ;  $min=17$ ;  $max=28$ ), საიდანაც 111 (44.4%) იყო მამრობითი, ხოლო 139 (55.6%) მდედრობითი სქესის წარმომადგენელი. კვლევის მონაწილეთაგან 109 (43.6%) იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, 54 (21.6%) შეადგენდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს, 51 (20.4%) სწავლობდა ტექნიკურ უნივერსიტეტში, 11 (4.4) - საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტი, 5 (2%) მათგანი იყო ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სტუდენტი, 4 (1.6%) -

აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი, ხოლო 11 (4.4%) იყო თბილისის სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი.

**კვლევის ინსტრუმენტი**

მიმდინარე კვლევის მონაწილეებს უნდა შეეფასებინათ სოციალური მიზნის მნიშვნელოვნება ლაიკერტის ტიპის 5 ბალიან სკალაზე, სადაც 1 ნიშნავდა - „სრულიად არ ვეთანხმები“, ხოლო 5 – „სრულიად ვეთანხმები“. კითხვარი შედგებოდა ინსტრუქციისგან, სოციალური მიზნების საკვლევი დებულებებისგან და დემოგრაფიული ბლოკისგან. კვლევის ინსტრუმენტის (McCullum L. D., 2005) შემადგენელი ფაქტორები იყო: სოციალური პასუხისმგებლობა და ზრუნვა, სოციალური მიმზიდველობა, ძალაუფლება, დაახლოება და ინტერპერსონალური ურთიერთობები, დახმარების მიღება, მიკუთვნებულობა და დახმარების გაცემა. სოციალური მიზნების საკვლევი ინსტრუმენტის ქართულმა ვერსიამ (SGQ-Geo) გაიარა ადაპტაციისთვის საჭირო ყველა პროცედურა. პირველ ეტაპზე ითარგმნა ინსტრუმენტი და ჩატარდა მისი ლინგვისტური ვალიდაცია, ხოლო შემდგომ ჩატარდა საპილოტე კვლევა 30 რესპონდენტზე, რის შედეგადაც მიღწეულ იქნა ტესტის ემპირიული ვალიდობა. ამრიგად, კითხვარის ქართული ვერსია, ორიგინალის მსგავსად, შედგება 66 დებულებებისგან.

**შედეგები**

სოციალური მიზნების საკვლევი ინსტრუმენტის შიდა სანდოობის დასათვლელად, შემოწმდა თითოეული დებულების შიდა კონსისტენტურობის მაჩვენებელი (კრონბახის ალფა მაჩვენებელი)(შედეგები მოცემულია ცხრილი #1-ში). მთლიანი სკალის შიდა სანდოობის მაჩვენებელი იყო 0.93 ( $\alpha=0.93$ ).

**ცხრილი #1.** აღწერითი სტატისტიკა, ფაქტორების შიდა სანდოობა და კორელაცია

ფაქტორი	M	SD	1	2	3	4	5	6	7
1 სოციალური პასუხისმგებლობა და ზრუნვა	54.68	8.69	(.91)	.275**	-	.120	.254**	.335**	.408**
2 სოციალური მიმზიდველობა	34.66	7.78		(.88)	.309**	.528**	.430**	.586**	.506**
3 ძალაუფლება	21.31	7.39			(.89)	.218**	.136*	.140*	.182
4 დაახლოება და ინტერპერსონალური ურთიერთობები	40.19	8.48				(.86)	.407**	.498**	.318**
5 დახმარების მიღება	34.44	8.29					(.86)	.489**	.423**
6 მიკუთვნებულობა	36.90	7.55						(.88)	.571**
7 დახმარების გაცემა	10.98	2.78							(.77)

შენიშვნა: \* = მნიშვნელობის დონე .05; \*\* = მნიშვნელობის დონე .01

„შერჩევის შუაზე გაყოფის მეთოდით“ შემოწმდა კითხვარის მდგრადობა. პირველ ფაქტორის შემთხვევაში, სპირმენის კორელაციის კოეფიციენტი იყო 0.82 ( $p < 0.01$ ), მეორე ფაქტორის სპირმენის კორელაციის კოეფიციენტი იყო 0.77 ( $p < 0.01$ ), მესამე, ძალაუფლების მიზნების სკალის კორელაციის მაჩვენებელი 0.82 ( $p < 0.01$ ) იყო, მეოთხე ფაქტორის შემთხვევაში, სპირმენის კორელაციის კოეფიციენტი 0.79-ს უდრიდა ( $p < 0.01$ ), მეხუთე, დახმარების მიღების ფაქტორში კორელაციის მაჩვენებელი 0.75 ( $p < 0.01$ ) იყო, მეექვსე ფაქტორი იყო მიკუთვნებულობა, რომლის კორელაციის კოეფიციენტი 0.80-ს უდრიდა ( $p < 0.01$ ), ხოლო, მეშვიდე ფაქტორის სპირმენის კორელაციის კოეფიციენტი იყო 0.68 ( $p < 0.01$ ). რაც შეეხება მთლიანი კითხვარის მდგრადობას, ინსტრუმენტი შედგებოდა 66 დებულებისგან და კორელაციის კოეფიციენტი აღმოჩნდა 0.89 ( $p < 0.01$ ).

### კორელაცია სკალებს შორის

რაც შეეხება სკალებს შორის კორელაციის მაჩვენებელს, ყველაზე მაღალი შედეგი დაფიქსირდა სოციალური მიმზიდველობისა და მიკუთვნებულობის მიზნებს შორის ( $r = 0.59$ ;  $p < 0.01$ ), მიკუთვნებულობისა და დახმარების გაცემის მიზნებს შორის ( $r = 0.57$ ;  $p < 0.01$ ), დაახლოებისა და ინტერპერსონალური ურთიერთობების და სოციალური მიმზიდველობის მიზნებს შორის ( $r = 0.52$ ;  $p < 0.01$ ). ერთმანეთთან უარყოფით კორელაციაში აღმოჩნდა ძალაუფლებისა და სოციალური პასუხისმგებლობა და ზრუნვის მიზნები ( $r = -0.17$ ;  $p < 0.01$ ), ხოლო შემდგომი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა დახმარების მიღებისა და ძალაუფლების მიზნებს შორის ( $r = 0.13$ ;  $p < 0.05$ ).

### ცხრილი #2. სკალებს შორის კორელაცია

ფაქტორი	1	2	3	4	5	6	7
1 სოციალური პასუხისმგებლობა და ზრუნვა	1	.275**	-.174**	.120	.254**	.335**	.408**
2 სოციალური მიმზიდველობა	.275**	1	.309**	.528**	.430**	.586**	.506**
3 ძალაუფლება	-.174**	.309**	1	.218**	.136*	.140*	.182
4 დაახლოება და ინტერპერსონალური ურთიერთობები	.120	.528**	.218**	1	.407**	.498**	.318**
5 დახმარების მიღება	.254**	.430**	.136*	.407**	1	.489**	.423**
6 მიკუთვნებულობა	.335**	.586**	.140*	.498**	.489**	1	.571**
7 დახმარების გაცემა	.408**	.506**	.182	.318**	.423**	.571**	1

\*\* . Correlation is significant at the 0.01 level (2-tailed).

\* . Correlation is significant at the 0.05 level (2-tailed).

კითხვარის კონსტრუქტული ვალიდობის დასადგენად ჩატარდა მისი ექსპლორატორული ფაქტორული ანალიზი. პირველი ფაქტორი შედგებოდა 13 დებულებისაგან და ეს დებულებები ამ ფაქტორს ხსნიდა 49.18%-ით. თითოეული დებულების ამ ფაქტორთან კორელაციის კოეფიციენტი მერყეობდა 0.61-სა და 0.76-ს შორის. მეორე ფაქტორის დებულებები (10) ამ ფაქტორს ხსნიდა 48.28%-ით. დებულებების კორელაციის კოეფიციენტი ფაქტორთან იყო 0.58-სა და 0.79-ს შორის. მესამე ფაქტორში შედიოდა 8 დებულება, რომლებიც ფაქტორს ხსნიდა 57.66%-ით. მესამე ფაქტორის დებულებების კორელაციის კოეფიციენტი ამ ფაქტორთან მერყეობდა 0.67-სა და 0.83-ს შორის. მეოთხე ფაქტორის დებულებები (11) ამ ფაქტორს ხსნიდა 43.16%-ით. დებულებების კორელაციის კოეფიციენტი ფაქტორთან იყო 0.46-სა და 0.83-ს შორის. მეხუთე ფაქტორი შედგებოდა 11 დებულებისაგან და ფაქტორს ხსნიდა 42.77%-ით. თითოეული დებულების კორელაციის კოეფიციენტი ამ ფაქტორთან მერყეობდა 0.45-სა და 0.78-ს შორის. მეექვსე ფაქტორის დებულებები (10) ხსნიდა ფაქტორს 50.36%-ით. დებულებების კორელაციის კოეფიციენტი ფაქტორთან იყო 0.54-სა და 0.80-ს შორის. ხოლო მეშვიდე ფაქტორი, რომელიც შედგებოდა 3 დებულებისაგან, ფაქტორს ხსნიდა 69.93%-ით. თითოეული დებულების კორელაციის კოეფიციენტი ფაქტორთან მერყეობდა 0.71-სა და 0.92-ს შორის.

### საშუალო ქულა და სქესი: განსხვავება სოციალურ მიზნებს შორის

მონაცემთა საშუალოების დათვლის შედეგად აღმოჩნდა, რომ ყველაზე მაღალი საშუალო ქულა დაფიქსირდა სოციალური პასუხისმგებლობისა და ზრუნვის კატეგორიაში ( $M=54.67$ ) (ფაქტორი 1), რაც ნიშნავს, რომ კვლევის მონაწილეთათვის ეს ფაქტორი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. მეორე ყველაზე მაღალი საშუალო ჰქონდა დაახლოებასა და ინტერპერსონალური ურთიერთობებს ( $M=40.19$ ) (ფაქტორი 4).


სოციალურ მიზნებსა და სქესს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავების შესამოწმებლად მოხდა ANOVA table-ს მეთოდის გამოყენება. ანალიზმა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება აჩვენა შემდეგ ფაქტორებთან: სოციალური პასუხისმგებლობა და ზრუნვა, სოციალური მიმზიდველობა, ძალაუფლება, დაახლოება და ინტერპერსონალური ურთიერთობები. ხოლო სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ დაფიქსირდა: დახმარების მიღების, მიკუთვნებულობისა და დახმარების გაცემის მიზნებს შორის. სოციალური პასუხისმგებლობისა და ზრუნვის ფაქტორის შემთხვევაში, მდედრობითი სქესის წარმომადგენლები აფიქსირებდნენ უფრო მაღალ შედეგებს ( $M_{\text{მდედრობითი}}=55.82$ ;  $SD_{\text{მდედრობითი}}=8.95$ ;  $M_{\text{მამრობითი}}=53.24$ ;  $SD_{\text{მამრობითი}}=8.13$ ); სოციალური მიმზიდველობის ფაქტორი უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მამრობითი სქესის წარმომადგენლებისთვის ( $M_{\text{მამრობითი}}=36.10$ ;  $SD_{\text{მამრობითი}}=7.03$ ;  $M_{\text{მდედრობითი}}=33.51$ ;  $SD_{\text{მდედრობითი}}=8.16$ ); ძალაუფლების ფაქტორის შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ მამაკაცები აფიქსირებდნენ უფრო მაღალ შედეგებს ( $M_{\text{მამრობითი}}=23.64$ ;  $SD_{\text{მამრობითი}}=7.85$ ;  $M_{\text{მდედრობითი}}=19.44$ ;  $SD_{\text{მდედრობითი}}=6.44$ ); რაც შეეხება დაახლოებისა და ინტერპერსონალური ურთიერთობების ფაქტორს, ეს კატეგორიაც მამაკაცებისთვის უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ( $M_{\text{მამრობითი}}=41.81$ ;  $SD_{\text{მამრობითი}}=8.59$ ;  $M_{\text{მდედრობითი}}=38.89$ ;  $SD_{\text{მდედრობითი}}=8.72$ ).

რაც შეეხება ინდივიდუალურ მიზნებს შორის განსხვავებას, მდედრობითი სქესის მონაწილეები უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევდნენ შემდეგ მიზნებს: „მინდა ხელი



შევუწყო სამართლიანობას“ ( $M_{\text{მდედრობითი}}=4.62$ ;  $M_{\text{მამრობითი}}=4.38$ ); „მსურს, რომ ხელი შევუწყო თანასწორობას“ ( $M_{\text{მდედრობითი}}=4.55$ ;  $M_{\text{მამრობითი}}=4.14$ ); „მინდა, ვიყო ხალისიანი“ ( $M_{\text{მდედრობითი}}=4.36$ ;  $M_{\text{მამრობითი}}=3.87$ ). კვლევის მონაწილეთაგან მამრობითი სქესის წარმომადგენლები უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევენ შემდეგ მიზნებს: „იმედი მაქვს, პოპულარული ვიქნები“ ( $M_{\text{მამრობითი}}=3.13$ ;  $M_{\text{მდედრობითი}}=2.55$ ); „ვფიქრობ, ვიყო სექსუალურად მიმზიდველი“ ( $M_{\text{მამრობითი}}=3.64$ ;  $M_{\text{მდედრობითი}}=2.98$ ); „იმედი მაქვს, ვიქნები ვინმესთან ერთად, ვინც კარგად გამოიყურება“ ( $M_{\text{მამრობითი}}=3.97$ ;  $M_{\text{მდედრობითი}}=3.09$ ).

დიაგრამა #1. სქესთაშორის განსხვავება სოციალურ მიზნებს შორის



### შედეგების განხილვა და ინტერპრეტაცია

მიმდინარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა სოციალური მიზნების საკვლევი კითხვარის ადაპტაცია. სოციალური მიზნები შეფასდა მნიშვნელოვნების მიხედვით და გამოვლინდა სქესთაშორის განსხვავება. კვლევის შედეგების თანახმად, შეიძლება ითქვას, რომ სოციალური მიზნების საკვლევმა ინსტრუმენტმა გაიარა ადაპტაციისთვის საჭირო საფეხურები. მისი ფაქტორული სტრუქტურა იმეორებს ორიგინალი კითხვარის (McCullum L. D., 2005) სტრუქტურას. ინსტრუმენტმა აჩვენა კარგი შინაგანი შეთანხმებულობა.

რაც შეეხება სოციალური მიზნების მნიშვნელოვნების მიხედვით შეფასებას, აღმოჩნდა, რომ მიმდინარე კვლევის მონაწილეების შედეგები მაკოლუმის კვლევის (McCullum L. D., 2005) მონაწილეების შედეგების ანალოგიური იყო. ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალური პასუხისმგებლობისა და ზრუნვის ფაქტორია, რომლის მნიშვნელოვნება სხვა კვლევებშიც გამოვლინდა (Anderman & Anderman, 1999; Dowson & McLnerney, 2003; Ramshe, Ghazanfari, & Ghonsooly, 2018). ხოლო ყველაზე ნაკლებად ღირებული ძალაუფლების ფაქტორი აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი კვლევის

(Chen & Tyler, 2001) თანახმად, ის ინდივიდები, რომლებსაც უფრო მეტად აქვთ ძალაუფლების პოზიცია გამოხატული, უფრო ადვილად აღწევენ დასახულ მიზნებს.

მნიშვნელოვნების მიხედვით შეფასდა, აგრეთვე, ცალკეული დებულებებიც და აღმოჩნდა, რომ მიმდინარე კვლევის მონაწილეებმა ყველაზე ღირებულ დებულებად მიიჩნიეს „მიმაჩნია, რომ მნიშვნელოვანია იყო სამართლიანი“, რომლის შემდგომაც გამოიყო დებულება - „მინდა ხელი შევუწყო სამართლიანობას“, მესამე ყველაზე მნიშვნელოვანი დებულება იყო - „მსურს, რომ ხელი შევუწყო თანასწორობას“, აგრეთვე, რესპონდენტებისთვის მნიშვნელოვანი დებულებები აღმოჩნდა: „მინდა, ვიყო ხალისიანი“ და „მნიშვნელოვანია, იგრძნო ფიზიკური სიახლოვე“. ეს შედეგები ნაწილობრივ ეხმიანება ჰუმანიტარულ და ტექნიკური მიმართულების სტუდენტებში ჩატარებულ კვლევას (Хусаинова & Анисимова, 2017). ამ შემთხვევაში, კვლევის (Хусаинова & Анисимова, 2017) მონაწილეებისათვის მნიშვნელოვანი იყო შემდეგი მიზნები: „ვიყო ხალისიანი“, „მნიშვნელოვანია, იგრძნო ფიზიკური სიახლოვე საყვარელ ადამიანთან“, „მნიშვნელოვანია ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობა“. მნიშვნელოვნების მიხედვით, ყველაზე ნაკლებად ღირებული დებულებები იყო - „მომწონს, ადამიანებზე ზეწოლა“ და „მინდა, რომ მიხელმძღვანელონ“.

სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს სქესთა შორის ზოგიერთი ფაქტორის შემთხვევაში. აღმოჩნდა, რომ მდედრობითი სქესის წარმომადგენლებისათვის სოციალური პასუხისმგებლობისა და ზრუნვის ფაქტორი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მამრობითი სქესის წარმომადგენლებისათვის. მამაკაცებისთვის, ქალებთან შედარებით, უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორები იყო სოციალური მიმზიდველობა, ძალაუფლება, დაახლოება და ინტერპერსონალური ურთიერთობები. სქესის გათვალისწინებით, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ დაფიქსირდა დახმარების მიღების, მიკუთვნებულობისა და დახმარების გაცემის ფაქტორებთან, რაც ნიშნავს, რომ ეს მიზნები ორივე სქესის წარმომადგენელთათვის თანაბრად ღირებულია.

რაც შეეხება, ინდივიდუალურ მიზნებს შორის სხვაობას, რამდენიმე დებულების შემთხვევაში დაფიქსირდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება. მაგალითად, მდედრობითი სქესის წარმომადგენლებისათვის უფრო ღირებული დებულება იყო „მინდა ხელი შევუწყო სამართლიანობას“, „მსურს, რომ ხელი შევუწყო თანასწორობას“, „მინდა, ვიყო ხალისიანი“, ვიდრე მამრობითი სქესის წარმომადგენელთათვის. ხოლო მამაკაცებისთვის უფრო ღირებული დებულებები აღმოჩნდა: „იმედი მაქვს, პოპულარული ვიქნები“, „ვფიქრობ, ვიყო სექსუალურად მიმზიდველი“, „იმედი მაქვს, ვიქნები ვინმესთან ერთად, ვინც კარგად გამოიყურება“. სქესის მიხედვით, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ გამოვლინდა შემდგომი დებულებების შემთხვევაში: „მინდა, სოციალურად სასურველი პიროვნება ვიყო“, „ვგრძნობ, რომ მნიშვნელოვანია გასცე რჩევა“, „მნიშვნელოვანია გაითვალისწინო სხვა ადამიანის ხედვა“.

სტატიაში მოყვანილია: 2 ცხრილი და 1 დიაგრამა

## ბიბლიოგრაფია

1. [1] *valuescentre.com*. (n.d.). Retrieved from [https://www.valuescentre.com/mapping-values/values/why-values-are-important?fbclid=IwAR0PWIGkRzApw20ssghy0ZJ\\_aP6sgaOX9mrHhdKhWYcGz1Yj4Gqo3K8acg4](https://www.valuescentre.com/mapping-values/values/why-values-are-important?fbclid=IwAR0PWIGkRzApw20ssghy0ZJ_aP6sgaOX9mrHhdKhWYcGz1Yj4Gqo3K8acg4)
2. [2] Urdan, T., & Maehr, M. (1995). *Beyond a two-goal theory of motivation and achievement: A case for social goals*.
3. [3] King, R. B., & McInerney, D. M. (2012). *Including social goals in achievement motivation*.
4. [4] Wentzel, K. R. (2000). *What is it that I'm trying to achieve? Classroom goals from a content perspective*.
5. [5] Ford, M. (1992). *Motivating humans. Goals, emotions, and personal agency beliefs*.
6. [6] Jardim, M. H., Da Silva Junior, G. B., & Alves, M. L. (2017). *Values in Students of Higher Education*.
7. [7] Ford, M. E., & Nichols, C. W. (1992). *A taxonomy of human goals and some*.
8. [8] Ryan, et al. (1997). *Social goals, academic goals, and avoiding seeking help in the classroom*. The Journal of Early Adolescence.
9. [9] Wentzel, K. R., & Watkins, D. E. (2002). *Peer relationships and collaborative learning as contexts for academic enablers*.
10. [10] Ryan, A., & Shim, S. S. (2006). *Social Achievement Goals: The Nature and Consequences of Different Orientations Toward Social Competence*.
11. [11] Ryan, A., & Shim, S. S. (2008). *An exploration of young adolescents' social achievement goals and social adjustment in middle school*.
12. [12] King, R. B., & McInerney, D. M. (2012). *Including social goals in achievement motivation research: Examples from the Philippines*.
13. [13] Dowson, M., & McInerney, D. M. (2003). *What do students say about their motivational goals?: Towards a more complex and dynamic perspective on student motivation*.
14. [14] Goergen, P. (2005). *Pós-Modernidade, Ética e Educação*.
15. [15] McCollum, L. D. (2005). *What Are the Social Values of College Students?: A Social Goals Approach*. University of Houston, Clear Lake.
16. [16] McCollum, D. L. (2006). *Students' social goals and outcomes*.
17. [17] ჯავახიშვილი, სხვ. (2016). *კვლევის ინსტრუმენტების ვალიდაცია*. GESJ: Education Science and Psychology 2017.
18. [18] Anderman, L. H., & Anderman, E. M. (1999). *Social predictors of changes in students' achievement goal orientation*.
19. [19] Ramshe, M. H., Ghazanfari, M., & Ghonsooly, B. (2018). *The Role of Social Goals in Iranian Undergraduate Students' Cognitive, Emotional, and Behavioral Engagement*.
20. [20] Chen, E. S., & Tyler, T. R. (2001). *Cloaking power: Legitimizing myths and the psychology of the advantaged*.
21. [21] Хусаинова, & Анисимова. (2017). *Особенности жизненных ценностей студентов гуманитарного и технического направлений вузов*.